№ 129

კვირა 20 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 129

კვირა 20 ივნისი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

შევისწავლე რა საეკკლესიო მხატვრობა მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. ანდრეევი. (30—78—15)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—7)

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დასიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა საალებმიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“.

კრება უსათუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე გამგეობისა, ვ. ალნიაშვილის ნაცვლად, რომელიც ამ თანამდებობას თავს ანებებს.

ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—6.—6)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა, თავისისავე თხოვნის თანახმად, განჯის ქალაქის პოლიციის კანცელარიის მოსამსახურე თავ. ავალიშვილი ქ. განჯის პოლიციის მე 2 ნაწილის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა ქ. განჯის პოლიციის მე-3 ნაწილის ბოქაული კოლეჟსკი სეკრეტ. ფიცხელაური იმავე ქალაქის პოლიციის მე 2 ნაწილის ბოქაულად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-IV ხარისხის მოხელე ნიკოლოზ სარჯველაძე.

## ახალი ამბავი

*** 19 მაისს მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოებას, სხდომაზედ, ამოურჩევია თავისს წევრ-კორესპონდენტად ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მ. გ. ჯანაშვილი იმ შრომისათვის, რომელსაც ის ეწევა აღმოსავლეთის სიძველეთა გამოკვლევა-შესწავლის საქმეში.

*** ქალაქის მოურავს ავლაბრის პროგიმნაზიის დაარსების დაჩქარების გამო ეხლავე შეაქვს ქალაქის საბჭოში გუბერნიის ადმინისტრაციის წინადადება იმის შესახებ, რომ ამ გიმნაზიის შესანახად ქალაქმა მეტი ფული გადასდოს.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ქ-ნს ე. პ. ბოლდანოვისას დააარსოს ქ. ტფილისში მომავალ წლის დამდეგიდგან მე-2 ხარისხის კერძო საქალებო სასწავლებელი.

*** ამ დღეებში მოხდება სიფილოქსერო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქმნება კახეთის მევენახეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ამ წლის შემოდგომაზედ მოწვეულ იქმნას კახეთის მევენახეთა კრება.

*** რადგან ალაიანის ამერიკულ ვაზთა სანერგედგან ვაზის ნერგები გააქვთ უფილოქსერო ადგილებში, ამის გამო კავკ. საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა გამოკვლეულ იქმნას ალაიანის სანერგე და მისი ახლო-მახლო ადგილები ფილოქსერის მხრივ.

*** სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ შემცირებულ იქმნას ტარიფი.

*** ამ მოკლე ხანში პეტერბურგიდგან მასწავლებელთა წინამძღოლობით გამოემგზავრებიან კავკასიაში რამდენისამე საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი ჩვენის ქვეყნის გასაცნობად.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ გადასწყვიტა მოსძებნოს სახლები ახალ საქალაქო სკოლების მოსათავსებლად, რომლებსაც ამ წლის შემოდგომაზედ გახსნიან.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას წყლის მილის გასწორების დროს მოკლულ ოსტატის ნერინგის მამის თხოვნა იმის შესახებ, რომ პასუხის გებაში იქმნას მიცემული ქალაქის წყლის მილების მმართველი ინჟენ. დვალიშვილი.

*** 21 ივნისიდგან მუშტაიდის საბრეშუმო სადგურში დაიწყება მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები, რომელნიც გასტანენ 1-ლ აგვისტომდე.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია ხვალისათვის.

*** ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია პურის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა ახალი პროექტი.

*** 18 ივნისს ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ბ. ევანგულოვმა ქალაქის მოურავს განცხადება წარუდგი-

## ფელეტონი

### ძეგლი

(პუშკინიდგან)

ძეგლი ავიგე მე ხელთ-უქმნელი:
მისკენ ბილიკი არ წაიშლება;
თავის სიმაღლით, ქედ-მოუხრელი,
ალექსანდრეს ბურჯს ალემატება.

***

არა და არა! მთლად არ მოვკვდები!
ალთქმულსა ქნარში იცოცხლებს სული—
ვიდრე არიან ქვეყნად მგოსნები,
მარად ვიქნები მე დიდებული.

***

მთელს დიდს რუსეთში გავითქვამ სახელს,
ვეცოდინები ყოველს მის ერსა:
ზვავ სლოვენთ ძის-ძეს და ფინლიანდელს,
დღეს ველურ ტუნგუზს და კალმიკს მხნესა.

***

დავიმსახურებ ხალხის სიყვარულს,
რომ ვაღვიძებდი კეთილსა გრძნობას;
რომ ვღაღადებდი ჩაგრულთ სიბრალულს
და ვადიდებდი თავისუფლებას.

***

მუზავ, უსმინე ღვთისა ბრძანებას:
შეურაცხყოფას ნუ უგდებ ყურსა,
გულ-გრილად შეხვდი ქება-ძაგებას
და ნუ შეებმი ბრიყვ-უგუნურსა!..

დუტუ მეგრელი

## უცხოეთა შორის

აწინდელი ომი.—რა განსხვავებაა ეხლანდელ და წინანდელ ომს შორის.—რა ზარალის მოტანა შეუძლიან ომს.—ეკონომიური ბრძოლა სახელმწიფოთა შორის.—წარმოება ინგლისისა, შეერთებულ შტატებისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და სხვათა.—ინგლისისა და საფრანგეთის დაცემა და გერმანიისა და შეერთებულ შტატების გაძლიერება.—ინგლისის სოფელი და ქალაქი.—რა ცვლილება ხდება სოფლისა და ქალაქის ურთ-ერთ დამოკიდებულებაში.

აქამდის თუ ის აზრი იყო გავრცელებული, რომ ომის მოსპობა შეუძლებელია, რომ ომი, ბრძოლა ყოველთვის იქმნება ხალხთა შორის, ვიდრე ეს ხალხი არსებობსო, ამ ჟამად ცოტა-ღაა ისეთი, რომელიც ომს ამავე თვალით უყურებდეს. დღეს მოწინავე კაცები მთელის განათლებულის ქვეყნისა ერთხმად გაიძახიან, რომ დროა ბოლო მოეღოს ამ ბარბაროსულ ჩვეულებას, დროა სხვაგვარი საშუალება იქმნას შემოღებული ერთა და სახელმწიფოთა შორის რაიმე მიზეზით გამოწვეულ უთანხმოების თავიდგან ასაცილებლად და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებადაო. ყველასათვის აშკარაა ამ ჟამად, რომ, ადრე თუ გვიან, დადგება ისეთი დრო, როდესაც ომისა და ჯარის ხსენება ალარც-კი იქმნება. როგორც ვუწყით, ამ აზრითვე სახელმწიფოთა კონფერენცია გამართეს გააგაში.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ვიდრე ეს სურვილი განხორციელდებოდეს, მანამდე ომი კიდევ ბევრს ზარალს მოუტანს ქვეყანას და იმის წყალობით ჯერ კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება. წინდახედულ და ჭკვიან კაცებს კიდეც ის აშინებთ, რომ რაც დრო და ხანი გადის, ომი მით უფრო საზარალო და საშიში ხდება კაცობრიობისათვის. აწინდელმა ტეხნიკამ ისე განავითარა და განაძლიერა სხვა-და-სხვა სამხარი იარაღი, რომ კაცს არც-კი შეუძლიან წარმოიდგინოს და მოისაზროს ის ზარალი, რომელიც ამ იარაღის წყალობით მომავალ ომს შეუძლიან მოიტანოს.

უწინდელ დროს რომ თავი გავანებოთ და მარტო სულ ბოლო ხანები ავიღოთ, მაგალითად 1850—1870 წლები, იმათთან შედარებითაც-კი აწინდელმა სამხარმა ტეხნიკამ, იარაღმა საოცარის სისწრაფით წაიწია წინ. ამ ორმოცის წლის წინად თოფის ტყვია 800 მეტრის მანძილს ძლივს აღწევდა, ეხლანდელის თოფით-კი 2,800 მეტრის მანძილზედ ადვილად შეიძლება კაცის მოკვლა. დღევანდელ თოფთან არც-კი შეიძლება იმ თოფის შედარება, რომელსაც 1870 წლის ომის დროს ხმარობდნენ. იმის გარდა, რომ ტყვია შორს მიჰყავს, ამ თოფით ოთხჯერ და ხუთჯერ მეტის გასროლა შეიძლება, გარდა ამისა იგი სუმბუქია, ადვილი სახმარებელი და გამძლე. ახლად გამოგონილის უკვამლო თოფის წამლის წყალობით მოწინააღმდეგეთ არ შეუძლიანთ ერთმანეთის დანახვა და იმის გაგება, საიდგან ისვრიან და რომელი მხრიდგან მოდის ტყვია.

დღევანდელ ზარბაზანს თითქმის 50 60-ჯერ მეტის ზარალის მოტანა შეუძლიან, ვიდრე 1870 წლისას. მაშინდელი ყუმბარა 20—30 ნაწილად იმსხვრეოდა, ეხლანდელი-კი 340 და მეტ ნაწილადაც. სამხედრო საქმის მცოდნეთა გამოანგარიშებით, ერთგვარი რიცხვი ჯარისა რომ ავიღოთ, ეხლანდელი ომი 8-10 ჯერ მეტს ზარალს მოიტანს, ვიდრე 1870 წლისამ მოიტანა.

მაგრამ სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ამ ბოლოს დროს ჯარი სახელმწიფოებმა ძლიერ გაამრავლეს. ამ საუკუნის დასაწყისში დიდმა დ ძლიერმა ნაპოლეონმა რუსეთში გალაშქრების დროს მთელს ევროპაში 400,000 ჯარის-კაცი ძლივს მოჰკრიბა, 1896 წელს-კი მარტო სამთა კავშირს,—გერმანიას, ავსტრიას და იტალიას,—შეეძლო ბრძოლის ველზედ 5,135,000 ჯარის-კაცის გაყვანა, ხოლო ორთა კავშირს,—რუსეთსა და საფრანგეთს,—5,354,000 კაცისა!.. ამ რიცხვს თუ არ მოემატა არაფერი დააკლდა. ისტორიამ არ უწყის მეორე ისეთი დრო, როდესაც ხუთ სახელმწიფოს შესძლებო-

ნა იმის შესახებ, რომ ის თავს ანებებს საბჭოს ხმოსნობას.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა სიღნაღის მაზრის უფროსს, მიიღოს სათანადო ზომები ქ. სიღნაღის სახლის პატრონებზედ დარჩენილ დაფასების გარდასახადის — 12 ათას მანეთის ასაკრეფადო.

*** საბჭოს ერთ-ერთმა ხმოსანმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ყოველ წლიური შემწეობა დაუნიშნოს ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებელს იმ პირობით, რომ ქალაქს უფლება მიეცეს იყოლიოს თვისი წარმომადგენელი ხსენებულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოში.

*** როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსდეს საგანგებო სადგური საქონლის ჭირთან საბრძოლველ საშუალებათა საცდელად.

*** გუშინ, 19 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა პოლკ. ი. ნ. სვეჩინმა დაათვალიერა ტფილისის უმთავრესი საგუბერნიო სატუსაღო.

*** საფრანგეთის სამეცნიერო საზოგადოებას, როგორც „ნოვ." იუწყება, განზრახვა აქვს, ამ წლის სექტემბრიდგან გამოგზავნოს ყირიმსა და კავკასიაში „100 თავისი წევრი, რომელნიც, სხვათა შორის, ესტუმრებიან ტფილისსა და ქუთაისს.

*** ჩაქვიდგან „ახ. მიმ."-ს ატყობინებენ, რომ იქ ამ ჟამად საუფლისწულო მამულში ჩაისა ჰკრეფენ. ჩაის ბუჩქები ახლა გაშენებულია 50 დესეტინის სივრცეზედ, ხოლო მომავალ გაზაფხულისათვის განზრახვა აქვთ ჩაის ბუჩქები 120—150 დესეტინამდე გააფართოვონ.

*** ფოთი. 15 ივნისს კენჭის ყრით მოხდა არჩევანები საქონლის მოძრაობის სტატისტიკის აგენტისა და ნავთ-სადგურის ნახევარ-კაპეიკიან გარდასახადის ამკრეფ კანტროლისა. ორი თანამდებობა ჩვეულებრივ ერთ კაცს აბარია. კენჭი იყარა სულ ხუთმა კაცმა, ხოლო არჩეულ იქმნა ბ ნი ალ. ნიკიტინი.

*** ზუგდიდი. „ახ. მიმ." დ. ზუგდიდიდგან სწერენ: „ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლე სასეირნოდ წავიდა დაბის მახლობელ ადგილებში. გზაში უცებ რევოლვერი გავარდა, რომელმაც იქვე მოჰკლა ხსენებულ სასწავლებელში ახლად კურს-დამთავრებული ყმაწვილი ბუსკაიძე. არავინ იცის, ვინ გაისროლა რევოლვერი და ან შემთხვევით მოხდა ეს, თუ განზრახ.

„ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათის მცხოვრებმა ანდრია ნარმანიამ თვისს მეზობელს გაბესკარიას ცხენი მოჰპარა. რადგან ეს ქურდობა პირველი შემთხვევა არ იყო, ამის გამო, ხსენებულ გაბესკარიის მეცადინეობით, სოფელმა განაჩენი დაადგინა ნარმანიის გადასახლების შესახებ. ნარმანიამ გაიგო თუ არა ეს განაჩენი, ჩაესაფრა გაბესკარიას და მოჰკლა თოფით. მკვლელი დაიმალა".

*** ს. კულაში, (ქუთაისის მაზრა). ქართულ გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა საჩივარი კულაშში წიგნთსაცავის უქონლობის გამო, მაგრამ ჯერ მაინც არავის მიუქცევია ყურადღება ამ ნაკლისათვის. წიგნთ-საცავი-კი დიდად საჭიროა ჩვენთვის, რადგან: 1) კულაში ერთი უდიდესი სოფელთაგანია მთელს მაზრაში, 2) წერა-კითხვის მცოდნენი აქ ძლიერ ბევრნი არიან, მოსწავლე ახალ-გაზდობის გარდაც, რომელნიც ზაფხულობით აქ მოდიან და რო ელთათვისაც, ცხადია, წიგნები პირველ საჭირო საგანს შეადგენს, და 3) ახლო-მახლო სოფელშიაც არსად მოიპოვება წიგნთსაცავი, რომ იქიდგან შეგვეძლოს სარგებლობა.

*** ყაზანი. ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტს მღვდელს ბეს. ხელაიას უწმინდესის სინოდისაგან ამა მდგომარე 1899 წლის 1 იანვრიდგან დაენიშნა სტიპენდია იმ პირობით, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ მღ. ხელაიამ უნდა იმსახუროს თავისს სამშობლოში სასულიერო სამოსწავლო უწყებაში. ვალდებული იქმნება სამსახურში იმდენი წელიწადნახევარი დაჰყოს, რამდენ წელიწადსაც სტიპენდია ექმნება.

წელს ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ორმა ქართველმა: მღვდელ მონაზონმა დავითმა (კაჭახიძემ) და იპოლიტე ვართაგავამ. ორივემ ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრეს კურსი. ამ ჟამად ყაზანში სულ 4 ქართველი სტუდენტი დარჩა: სამი სასულიერო აკადემიაში და ერთიც საბეითალო ინსტიტუტში.

*** დ. ძველი სენაკი. ამაღლება დღეს აქ პატარა იარმუკობა იყო. შალები სოფლებიდგან ძალიან ცოტა ჩამოეტანათ, მაგრამ რაც ჩამოვიდა, ისიც ხეირიან ფასად ვერ გადიოდა, რადგანაც მუშტარი თითქმის სრულიად აღარ იყო. აქ სქელ ჯიბა პარკის ვაჭრები არ მოსულან წელს. იმათ ზოგიერთა აქაურის ვაჭრებისათვისვე მიენდოთ პარკის ყიდვა და თითონ უფრო სახეირო პოზიცია დაეჭირათ. ამით ისარგებლეს აქაურმა ვაჭრებმა და ფუთს 10—11 მ. ჰყიდულობდნენ, მით უმეტეს, რომ აქაური მეაბრეშუმეთა ამხანაგობა პირველად რაღაცა მოსაზრებისა, თუ მიზეზების გამო სრულიად არ აპირებდა პარკის ყიდვას. შემდეგ-კი ფასმა ცოტად აიწია, მაგრამ 13—14 მან. ზევით არ წასულა ფუთის პარკის ფასი. ხოლო სულ ბოლოს ამ ფასმა ისევ დაიწია და 8—9 მანეთამდეც-კი ჩამოვიდა.

მეაბრეშუმეები სულ იმასა სტირიან და სჩივიან, რომ დავიღუპენით, ხარჯის ფასი ძლივს ავიღევითო.

ბოლოს დროს პარკის ფასის დაცემის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ ამხანაგობამ ძალიან ცოტა პარკი იყიდა (სულ ოთხმოციოდე ფუთი), რის გამო ვერ შესძლო მეტოქეობა გაეწია სხვა მოვაჭრეებისთვის.

აგერ მესამე წელიწადია, რაც ეს ბედ-უკუღმართი ამხანაგობა არსებობს, მაგრამ აქამდის პარკის სახმობი ფარდული არა აქვს, მაშინ როდესაც უპრალო პარკის მოვაჭრისათვისაც-კი საჭიროდ არის სახმობი ფარდული. ნუ თუ ამხანაგობის გამგეობა სამი წლის შემდეგ მაინც არ ინებებს სოფლის განაპირას ფარდულის დადგმას, რომელიც აგრე აუცილებლად საჭიროა ამხანაგობის წარმატებისა და პარკის წესიერად დამზადებისათვის?!

*** ტფილისის პოლიცმეისტერი 25 ივნისიდგან ორის თვით სამსახურს დაეთხოვება და გაემგზავრება ტფილისიდგან.

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში

ათი დღე იქნება რაც ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდგან ტფილისის სასულიერო სემინარიის შენობაში თავი მოუყრიათ სამოცამდე სამრევლო სკოლის მასწავლებელთ პედაგოგიურს კურსებზედ დასასწრებლად. ჩვენშიაც უკვე აღინიშნა ის პრაქტიკული სარგებლობა, რომელიც მოაქვს პედაგოგიურს კურსებს მასწავლებლის დახელოვნებაში და სკოლაში სასწავლო საგნების კარგად სწავლებაში.

წრევანდელი კურსები სხვა წლებში გამართულ კურსებიდგან, სხვათა შორის, იმითაც განირჩევა, რომ წელს ლექციებს ამა თუ იმ საგნის სწავლების შესახებ არ კითხულობენ — ყველაფერი დამყარებულია პრაქტიკულად საქმის წაყვანაზე, სამაგალითო და სანიმუშო გაკვეთილებზე. სანიმუშო გაკვეთილები ნასადილევს ირჩევა მასწავლებლებისა და კურსების ხელმძღვანელთა მიერ ერთად ყოველ-დღე. ჩვენ დავესწარით რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის და მათ გარჩევას — ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ჩემი შთაბეჭდილება მკითხველებსაც გავუზიარო. ძნელი წარმოსადგენია ის ერთგულება და საქმისადმი თავგამოდებითი სიყვარული, რომელიც ეტყობათ კურსებზე მოსულ მასწავლებლებს კურსებზე მუშაობის დროს სანიმუშო გაკვეთილების მიცემით და გალობაში მეცადინეობით. დღეს ყველამ კარგად ვიცით, თუ რა უანგარო მუშაკია სოფლის მასწავლებელი, რომელიც მომავალში ბევრს სანუგეშოს ვერარას ჰხედავს, მიუხედავად ამისა ჩვენ ვხედავთ ტფილისის კურსებზედ ბევრს ისეთს მასწავლებელს, რომლებიც დიდის გრძნობით და თავიანთი საქმის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი და თუ ცოდნა არ შესწევთ საქმის ნაყოფიერად წაყვანაში, ცდილობენ, რომ საჭირო ცნობები შეიძინონ და ამნაირად სასარგებლონი გახდნენ როგორც ახალი თაობისა, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც. ესენი გულ-დასმით ისმენენ ყველა რჩევას ხელმძღვანელებისას, რომლებიც, ხედვენ რა მასწავლებლებში მუყაითობას და ერთგულებას, თვითონაც თავ-გამოდებით მეცადინეობენ და ეხმარებიან, კანონიერს ხელ-მძღვანელობას უწევენ მასწავლებლებს, აძლევენ მასწავლებლებს მასალას გაკვეთილებისათვის, აწერინებენ კონსპექტებს და აზეპირებენ კითხვებს, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ მასალის შესამუშავებლად გაკვეთილების დროს. აღსანიშნავია აგრეთვე ის საღი პედაგოგიური მიმართულება, რომელიც მიუღია კურსებს კარგის და გამოცდილის ხელმძღვანელების წყალობით. საგნების სწავლება სკოლებში სწარმოებს პატივცემულის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიხედვით. ამ საგნის შესახებ ინსპექტორი სემინარიისა, მამა დიმიტრი, გამგე კურსებისა ბ-ნი ნ. ტატიშვილი და ბ. ილია ფერაძე — ხშირად აცნობებენ მასწავლებლებს ხსენებულის სახელმძღვანელოების ღირსებას და მასთან ხშირად ეუბნებიან გაეცნონ მეთოდიურს სახელმძღვანელოს ხსენებულის პედაგოგისას. საღმრთო სჯულის სწავლებაც, როგორც სამართლიანად განუმარტა მასწავლებლებს ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა, უნდა სწარმოებდეს თავიდანვე ბავშვის ღვიძლს ენაზე, რომელიც არის ენა გრძნობისა, გულისა

---

დეს საბრძოლველად 11 მილიონის კარგად შეიარაღებულის ჯარის-კაცის გაყვანა.

ეს ხმელეთის ჯარი, საზღვაო ჯარი, ფლოტი კიდევ მეტია. მარტო ხუთის დიდის სახელმწიფოს ფლოტები, ერთად შეერთებული 500-ზედ მეტს საუცხოვოდ მოწყობილს, ძლიერს სამხედრო გემს შეიცავენ. ამ გემებზედ 200,000 ზღვაოსანი იქმნება. თითო გემი რამდენსამე მილიონ მანეთად ღირს. ეს კიდევ არაფერი: თვითეული სახელმწიფო მალულად სცდილობს ისეთი წყლის ქვეშ მოსიარულე ნავი მოიგონოს, რომლის დანახვაც მტერს არ შეეძლოს. აუარებელ ფულს ხარჯავენ ამისათვის და, როგორც ამბობენ, საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს და შეერთებულ შტატებს უკვე გამოუგონიათ ასეთი ნავები, მხოლოდ თვითეული მათგანი არ ამხელს, რათა ომის დროს მარტომ ისარგებლოს. ასეთი ნავი შეუმჩნევლად მიუახლოვდება უზარმაზარ გემს და რამდენსამე წუთის განმავლობაში ააფეთქებს.

წარმოუდგენელია ის ზარალი, რომელიც აწინდელ ომს შეუძლიან მოუტანოს არა მარტო მეომართ, არამედ მთელ კაცობრიობას. ჯერ მარტო მშვიდობიანობის დროს, როგორც ვუწყით, დიდთა სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი შემოსავალი ჯარს, სამხედრო საქმეს უნდება. ომის დროს ეს ხარჯი ასკეცდება. მაგრამ ზარალი სხვაფრივ უფრო საგრძნობელი და სამწუხაროა.

დღევანდელი სახელმწიფონი ეკანომიურად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. უწინ რომელსამე სახელმწიფოს შეეძლო განმარტოებით ცხოვრება: ყოველსავე საჭიროს შინ თვითონვე ამზადებდა. დღეს-კი ასე აღარ არის. ისეთსავე შრომის განაწილებას, როგორიც ამ ჟამად საქარხნო წარმოებაში, მრეწველობაში, სახელმწიფოთა საერთა-შორისო ეკონომიურ დამოკიდებულებაშიაც ვხედავთ. ერთი სახელმწიფო მისდევს უფრო ერთს დარგს წარმოებისას, სულ ერთია სამეურნეო იგი თუ სამრეწველო, მეორე მეორეს; და შემდეგ თავიანთ შრომის ნაყოფს ერთმანეთს უცვლიან. რაც დრო და ხანი გადის ასეთი განაწილება უფრო ფეხს იდგამს და აშკარაც ხდება; ასე რომ უერთმანეთოდ სახელმწიფოებს ცხოვრება არ შეუძლიანთ.

ეხლა წარმოიდგინეთ ომი დიდ სახელმწიფოთა შორის. ასეთ ომის დროს, ეჭვი არ არის, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა მოისპობა. ამას-კი ვაჭრობისა და მრეწველობის განადგურება და მრავალის მცხოვრებლის შიმშილისაგან ამოწყვეტა მოჰყვება. საკმაო მაგალითად მდიდარი და ძლიერი ინგლისი ავიღოთ. ის პური, რაც ინგლისში მოჰყავთ ჰყოფნის მხოლოდ იქ მცხოვრებთა $^{1}/_{4}$-ს, მაშასადამე $^{3}/_{4}$ მცხოვრებლებისა სხვა ქვეყნიდგან, უმთავრესად ამერიკიდგან და რუსეთიდგან, შემოტანილ პურით იკვებება. დიდ, მსოფლიო ომის დროს-კი სხვა სახელმწიფონი პურის გატანის ნებას აღარ მისცემენ. რა უნდა ჰქმნას მაშინ ინგლისის მცხოვრებთა სამმა მეოთხედმა? რით უნდა გამოიკვებოს თავი? რას უშველის ამ შემთხვევაში ფულით გატენილი ყუთები? დანარჩენ სახელმწიფოთ თუ პური აქვთ, სხვა რამ აკლიათ, ასე რომ შედეგი დიდ ომს ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე ექმნება.

ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ აშკარაა, რომ აწინდელი ომი თვით გამარჯვებულ სახელმწიფოსათვისაც კი საზარალო და სავალალო იქმნება. რაც უნდა დიდი სასყიდელი აიღოს, რაც უნდა დიდი სამხედრო გადასახადი გამოართვას დამარცხებულ სახელმწიფოს, ეს გარდასახადი იმ ზარალის მეოცედსაც ვერ შეადგენს, რომელიც ომს მოჰყვება. ამ რიგად „გამარჯვებული" სახელმწიფო მარტო სიტყვით იქმნება გამარჯვებული, ნამდვილად-კი მოწინააღმდეგეზედ ნაკლებ დამარცხებული და განადგურებული არ გაშორდება ბრძოლის ველს. აი სწორედ ამ შიშის მოლოდინმა აალაპარაკა დღეს მრავალი სახელმწიფო მოღვაწეც კი და ხმა მაღლა ათქმევინა, ჯარის შემცირებას შეუდგეთო.

* * *

ასე თუ ისე, ბევრს სანუგეშოს მაინც ვერაფერსა ვხედავთ: სახელმწიფონი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სამხედრო საქმეს, დღითი-დღე ჯარს უმატებენ და მომავალის ბრძოლისათვის ემზადებიან. მაგრამ ამ მხრივ თუ მხოლოდ ემზადებიან, მეორეს მხრით ბრძოლამ, სასტიკმა, სიკვდილ სიცოცხლის ბრძოლამ უკანასკნელ ხარისხამდე მიაღწია. ეს ბრძოლა წმინდა ეკონომიურია, სხვა-და სხვა ნაწარმოებთა გასაღება-განაღდებაზედ დამყარებული.

უმთავრესს მომქმედ სახელმწიფოებად ამ ბრძოლაში არიან: ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და საფრანგეთი. თვითეული ამათგანი ოთხჯერ და ხუთჯერ იმაზედ მეტ სხვა-და-სხვა დარგის ნაწარმოებს, საქონელს ამზადებს, რაც შინ სახელმწიფოშია საჭიროა; მაშასადამე ამ მეტ საქონელს გასაღება, ბაზარი უნდა და აი კიდეც ამ ბაზრის ძებნის დროს ხდება ის ბრძოლა, რომელსაც ერთის დაცემა და მეორის ამაღლება მოსდევს. გამარჯვება აქ თოფ-იარაღით-კი არ მოიპოვება, არამედ საქონლის სიიაფით და სიკარგით ერთსა და იმავე დროს.

მოგეხსენებათ, რომ ინგლისს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში პირველი ადგილი უჭირავს. მაგრამ მალე ამ პირველობას სხვები ჩამოართმევენ. ეს სახელმწიფო წელიწადში 16 მილიარდ მარკის *) საქონელს ამზადებს. მეორე ადგილი აქამდის საფრანგეთს ეჭირა, მაგრამ უკანასკნელ 15—25 წელიწადში ამ ადგილიდგან ჩამოაბრძანეს და მესამეც არ დაუთმეს, ასე რომ საფრანგეთი მხოლოდ მეოთხე ადგილის პატრონი შეიქმნა;

*) გერმანული მარკა უდრის დაახლოვებით—32 კაპეიკს.

და მას, მხოლოდ მას შეუძლიან მიიყვანოს ბავშვის გონება ღვთის განგებათა კანონიერად შეგნებისადმი. მართალია, სამაგალითო სკოლა, რომელიც კურსებზეა გამართული, არ არის ისეთი, როგორც სოფლის სკოლებია საზოგადოდ, სადაც რუსული ენა თავიდგანვე არ იციან, მაგრამ როგორც კურსის ხელმძღვანელნი უმარტავენ მასწავლებლებს—რასაც პირველი განყოფილება სწავლობს ეხლა კურსებზედ, ის ყველაფერი სკოლებში უსათუოდ ქართულად უნდა ისწავლებოდესო, ამიტომ სრული იმედია, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებლები კარგად დაუკვირდებიან ხელმძღვანელთა განმარტებას და ისე მოაწყობენ საქმეს თავიანთ სკოლებში, როგორც სასურველია და სასარგებლო და რასაც ითხოვს თანამედროვე სალი პედაგოგიური მიმართულება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ კურსებზედ იმ გარემოებასაც, რომ აქ თავი მოუყრიათ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან მასწავლებლებს, რომელთაც ერთმანეთში სრული თანხმობა, სიყვარული და კეთილი განწყობილება სუფევს—ძმობა, ერთობა და საზოგადო საქმის სიყვარული და უანგარო შრომა მასწავლებლობისა მტკიცდება მათში ერთმანეთთან საუბრის დროს, რომელიც დიდად ამხნევებს მათ და ხალისს ჰმატებს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის უანგარო სამსახურზე. გაუმარჯოს მასწავლებლებს, მათს ხელმძღვანელებს და ვუსურვებთ მათ დიდს წარმატებას ეკლიანს გზაზედ.

კახაბერი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ნოვოსტს“ შემდეგს სამწუხარო ამბავსა სწერენ ქ. ოდესიდგან. ოდესის ნავთ-სადგურზედ შეტაკება მოხდა მუშათა შორის, რომელთაც იქ გემების და სატვირთავად და დასაცლელად ჰქირაობენ მოიჯარადრენი. „ზოგიერთი მოიჯარადრენიო, სწერს კორესპონდენტი, საშინლად მარცვავდნენ მუშებს და მათი მარცვა-გლეჯა იწვევდა მრავალგვარ შეტაკებას, რომელსაც მოსდევდა ხოლმე საჩივრები სასამართლოში. შეტაკება სომეხ და ქართველ მუშათა შორის მოხდა ამ სახით: სომეხ მუშებს, რომელნიც რუსეთის საზოგადოების გემებზედ მუშაობდნენ, უსიამოვნება მოუვიდათ თავიანთს მოიჯარადრეს ქრისტისთან. უსიამოვნების მიზეზი იყო ქირა: ზოგიერთი მუშები უკმაყოფილებას აცხადებდნენ ქირის სიმცირეზედ, ზოგი-კი—ურიგოდ ანგარიშის გასწორებაზედ. მუშებმა სთხოვეს საზოგადოების კანტორას, თავიდგან მოგვაშორეთ მოიჯარადრეო, ე. ი. სამუშაო პირდაპირ ჩვენ მოგვეცით. კანტორამ უპასუხა, საზოგადოება საქმეს ვერ დაიჭერს მრავალ მუშებთანაო, საჭიროა ერთი კაცი გირაოთი, რომელმაც უნდა უზრუნველ ჰყოს მუშაობის წესიერი მსვლელობაო. მაშინ სომხები საბოლოოდ განშორდნენ მოიჯარადრეს, და უკანასკნელმა მათ მაგივრად დაუყოვნებლივ ქართველი მუშები დაიქირავა. ახალ მუშებს გემს „როსია“-ზედ მუშაობის დროს ძველმა მუშებმა მოსთხოვეს, მუშაობაზედ ხელი აიღეთ და წადითო. სომხები უსაყვედურებდნენ ქართველებს, თქვენ ნებას არ აძლევთ თქვენსავე ამხანაგებს გაიუმჯობესონ მდგომარეობაო. ქართველებმა უპასუხეს, ჩვენ დაგვიქირავეს და ვალდებული ვართ ვიმუშაოთო. შელაპარაკდნენ, მიიწიეს ერთმანეთზედ და შეიტაკნენ. შეიქნა ქვებისა და აგურების სროლა. შეტაკებამ ცოტა ხანს გასტანა, სულ რამდენსამე წუთს, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც მრავალი მუშა მძიმედ გაილახა. გემზედ მოიტანეს წყალი და გადაასხეს მოჩხუბრებს გასაფანტავად. მალე მოვიდა ნავთ-სადგურისა და ქალაქის პოლიციიდგან 50 კაცი. დაშავებულნი წაიყვანეს საავადმყოფოში.

## რუსეთი

მიწად მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემწეობა მიეცეს იმ სოფლის მეურნეთ, რომელნიც საცდელ ყანებს გამართავენ.

— სასულიერო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამღვდელოების მორიგი კრებები შემოდგომობით მოწვეულ იქმნას არა უადრეს სექტემბრის გასულისა, ე. ი. ყანებში მუშაობის გათავებამდე, რაც დიდად საყურადღებოა იმ მღვდელთათვის, რომელნიც მეურნეობას მისდევენ.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლების მიღების მსურველნი უნდა გამოცდილ იქმნან იმ საგნებში, რომელსაც ასწავლიან სამაზრო სასწავლებლებში.

— იმავე სამინისტრომ განმარტა, რომ ებრაელთა პირველ-დაწყებითის სასწავლებლების მმართველთ არ შეუძლიანთ ისარგებლონ სახელმწიფო სამსახურის უფლებებით.

— ამ მოკლე ხანში საერო განათლების სამინისტრო განიხილავს შემდეგს საგანს: დაარსებულ იქმნას რუსეთის განაპირა ქვეყნებში, რაც შეიძლება ბლომად, მოძრავი სკოლები ადგილობრივ მკვიდრთა შორის განათლების გასავრცელებლად.

— ამ წლის 1-ლ იანვრიდგან 1-ლ ივნისამდე სახელმწიფო სატელეგრაფო დაწესებულებათ დეპეშების გადაცემიდგან შემოსვლია სულ 6.049,457 მან., შარშანდელთან შედარებით 171,833 მანეთით მეტი.

— როგორც ისმის, მომავალ ივლისის 1-ლ რიცხვიდგან ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდება განსაკუთრებული საქარხნო საბჭო, რომელსაც საგნად ექმნება ყოველ საქარხნო საქმის განხილვა. გარდა ამისა, განზრახვა აქვთ გაამრავლონ ქარხნის ინსპექტორები და შეამცირონ ქარხნის რევიზორთა რიცხვი.

— ამ მოკლე ხანში ფინანსთა სამინისტრო გადასწყვეტს რუსეთში შემოსატან ვერცხლეულობაზედ ბაჟის მომატების საქმეს. როგორც ისმის, ეს საქმე რუსეთის მექარხნეთა სასარგებლოდ გადასწყდება, ე. ი. ხსენებული ბაჟი მომატებულ იქმნება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მინისტრ-პრეზიდენტი საფრანგეთისა, ვალდეკ-რუსსო, 53 წლის კაცია. იმას იურიდიული განათლება აქვს მიღებული და ადვოკატობაში დიდად გაითქვა სახელი, როგორც გამოჩენილმა ორატორმა. მინისტრად ის პირველად გამბეტას კაბინეტში იყო 1881 წელს, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ჰქონდა ჩაბარებული. ვალდეკ-რუსსომ მაშინ ცირკულიარი გაუგზავნა პრეფექტებს, რომ დეპუტატების რეკომენდაციას ერიდეთო. ეს პირველი ნაბიჯი იყო მესამე რესპუბლიკის ისტორიაში ადმინისტრაცია განთავისუფლებულიყო პოლიტიკურ გავლენისაგან. რამდენსამე თვის შემდეგ ვალდეკი სამსახურიდგან გადადგა მთელს კაბინეტთან ერთად. ჟიულ ფერის კაბინეტში მას ისევ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი ჩაჰბარდა და ამ თანამდებობაში სრული ორი წელიწადი დარჩა. 1886 წლიდგან ვალდეკ-რუსსო ისევ თავისს ძველს ხელობას, ადვოკატობას, დაუბრუნდა და პოლიტიკურს საქმეებში სრულებით აღარ ერეოდა, სანამ სენატორად არ იქმნა არჩეული 1894 წელს. როცა კაზიმირ პერიემ რესპუბლიკის პრეზიდენტობას თავი დაანება, სხვათა შორის, ვალდეკ-რუსსოც იქმნა ამ თანამდებობაზედ კანდიდატად დასახელებული 184 ხმით. მეორედ ხმის ჩამოტარების დროს კანდიდატობაზედ უარი განაცხადა და მან ფელიქს ფორის სასარგებლოდ.

ზღვათა მინისტრი ლანესანი ხელობით ექიმია და პროფესორად არის პარიჟის საექიმო ფაკულტეტზე. ის გამოცდილი კაცი არ არის სახელმწიფო საქმეებში: 1891—1895 წ. იგი ინდო-კიტაის გუბერნატორად იყო და ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ეს ქვეყანა. მინისტრად-კი ლანესანი პირველად არის.

მიწად მოქმედების მინისტრი ჟან დიუპუი ახალი კაცია პოლიტიკურს საქმეებში. იგი უფროსი რედაქტორია „Petit Parisien“-ისა და სენატორი, მაგრამ სენატში თავი არაფრით უსახელებია.

საზოგადო მუშაობათა მინისტრი ბოდენი 36 წლის კაცია. ის რადიკალ-სოციალისტთა დასს ეკუთვნის და მინისტრის თანამდებობა პირველად უჭირავს. აგრეთვე პირველად არიან მინისტრებად იუსტიციის მინისტრი მონისი და ფინანსთა—კაიო, რომელთაგან პირველი ადვოკატია ხელობით, ხოლო მეორე—პროფესორი.

ვაჭრობის მინისტრი მილიერანი აგერ თოთხმეტი წელიწადია, რაც დიდ ყურადღებას იპყრობს დეპუტატთა პალატაში, სადაც ის არა მარტო საუკეთესო მჭევრმეტყველად ითვლება, არამედ მოუსვენარ კაცადაც; მისის წყალობით ბევრი მინისტრი გამოესალმა თავისს პორტფელს.

ახალშენთა მინისტრი დეკრე, გალიფეს გარდა, ყველა თავისს ამხანაგებზედ უხუცესია: ის 61 წლის არის. დეკრე ჯერ მინისტრად არა ყოფილა, მაგრამ პოლიტიკურს საქმეებში კარგად დახელოვნებულია: ის სხვა-და-სხვა დროს ელჩად იყო რომსა, ვენასა და ლონდონში. დელკასე, გარეშე საქმეთა მინისტრი, და ლეიგი—საერო განათლებისა—დიუპუის კაბინეტშიაც იყვნენ მინისტრებად.

—

**საბერძნეთი.** გაზეთების სიტყვით, ათინაში ამ ხანად ვიღაც პლატონ მარინკო გარდაიცვალა, რომელსაც მთელი თავისი ქონება 200,000 დრახმი, კრიტის გენერალ-გუბერნატორ გიორგი ბატონიშვილისათვის უანდერძებია.

—

**შეერთებული შტატები და ფილიპინები.** მანილიდგან სან-ფრანცისკოში დაბრუნდა ამერიკელი ექიმი კუკსჩენი, რომელმაც აი რა უთხრა ამერიკულ გაზეთების კორესპონდენტებს:

ამერიკისათვის, სულ რომ ცოტა ვთქვათ, 100—150 ათასი ჯარის-კა-

---

წელიწადში იგი 8,9 მილიარდ მარკის საქონელს ამზადებს; ამერიკის შეერთებული შტატები თუმცა იმდენსავე ამზადებს, რამდენსაც ინგლისი, სახელდობრ 16 მილიარდისას, მაგრამ ჯერ-ჯერობით გარეთ ინგლისზედ ნაკლები გააქვს. მესამე ადგილი უჭირავს გერმანიას, რომელიც 11,6 მილიარდის საქონელს ამზადებს. ამათ მისდევენ: რუსეთი—7,2 მილიარდ., ავსტრო-უნგრეთი—6,5 მილიარდ., იტალია—2,4 მილიარდ. და სხვანი. წინა წლებთან შედარებით შეერთებულ შტატებიდგან 18%-ით მეტი საქონელი იქმნა გატანილი, გერმანიიდგან—$12^3/_4$%-ით მეტი, საფრანგეთიდგან—$1^1/_2$%-ით, ხოლო ინგლისიდგან—4%-ით ნაკლები.

როგორც ამ ციფრებიდგან სჩანს და როგორც ზემოდაც ვთქვით, ინგლისისა და საფრანგეთის ვაჭრობამ ძალიან იკლო, განსაკუთრებით პირველისამ, რადგანაც საფრანგეთს ერთ ნახევარ პროცენტით მაინც მეტი გააქვს წინა წელთან შედარებით, ხოლო ინგლისს ნაკლები. ინგლისი არამც თუ ბევრ სხვა ადგილას ვეღარ უწევს მეტოქეობას შტატებსა და გერმანიას, არამედ ზოგიერთი ნაწარმოები ამ უკანასკნელებისა, მაგალითად, ამერიკული ფოლადეულობა, თვით ინგლისშიაც-კი 20—30%-ით უფრო ნაკლებ იყიდება, ვიდრე ინგლისისავე.

შემდეგში ინგლისს მეტი განსაცდელი მოელის. დღეს თუ მსოფლიო ბაზარში მარტო შტატები და გერმანია უწევენ მეტოქეობას, ახლო მომავალში სხვა სახელმწიფოებიც გადაეღობებიან და ყოველს შემთხვევაში თავიანთ საკუთარ ბაზრებს მაინც აღარ დაანებებენ. ჯერ-ჯერობით ასეთი სახელმწიფოები არიან: იაპონია, რუსეთი და, ასე გასინჯეთ, ინდოეთიც-კი, რომელიც ამ ბოლოს დროს თვით შეუდგა მრავალის დაუმუშავებელის საქონლის დამუშავებას (მაგალითად, ბამბეულობისას) და ინგლისში აღარა ჰგზავნის, როგორც აქამდის იყო.

რასაკვირველია, ინგლისი ყველა ამის გამო ცუდ-გუნებაზედ იქმნება. აშკარადა ჰხედავს, რომ ხელიდგან ეცლება ის, რაც ორის, სამის საუკუნის განმავლობაში თავისს პრივილეგიად მიაჩნდა, მაგრამ რას გააწყობს ისტორიის მსვლელობის წინააღმდეგ? დღესაც ბევრს ლაპარაკობენ ინგლისელნი ამის გამო. ამბობენ, მაგალითად, ესრედ წოდებულ იმპერიალიზმის შესახებ, ე. ი. ერთი საზოგადო სატამოჟნო წესი იქმნას შემოღებული ინგლისის ყველა სამფლობელოებისათვის. ზოგნი ინგლისს ვაჭრობის საქმეში ამერიკასთან დაკავშირებას ურჩევენ. მაგრამ ვერც ერთი ამ პროექტთაგანი განხორციელებას ვერ ეღირსა; პირველი განსაკუთრებით ვერასოდეს ვერც ეღირსება.

ვაჭრობა-მრეწველობის დაქვეითებამ ინგლისში ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა წამოაყენა, მოვლენა, რომლის მაგალითიც ისტორიაში არ მომხდარა. როგორც უკვე ყველასათვის აშკარაა, აწინდელის კაპიტალისტურის წეს-წყობილების ერთი უმთავრესი თვისება ის არის, რომ სოფელი ცარიელდება და იმის ნაცვლად ქალაქი იზრდება; ხალხი სოფლიდგან ქალაქში გადადის. ინგლისის მაგალითმა ეს ყველაზედ ნათლად დაამტკიცა. სოფელი ინგლისში თითქმის აღარც-კი არსებობს. არიან იქ მხოლოდ ან წვრილი ფერმერები (მათი რიცხვი სულ 150,000-ია) ან კიდევ მდიდარი მესაკუთრენი (ამათი რიცხვი უფრო მცირეა—5000 ძლივს იქმნება). ამათ გარდა არიან კიდევ უმიწა-წყლო სოფლის მუშები, სულ 242,000 კაცი. 1871 წელს ამ უკანასკნელთა რიცხვი 996,642 იყო, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ქალაქმა მეტად შეამცირა.

ამ რიგად ვაჭრობა-მრეწველობამ სოფელი დააცალიერა და მთელი ინგლისი ქალაქად აქცია. საქმე კიდეც აი აქ არის. ეს უთვალავი ხალხი, რომელიც ქალაქში გადასახლებამდე მეურნეობით სცხოვრობდა, დღეს ქარხნის წყალობით იკვებება; მაგრამ რა უნდა ჰქმნას მაშინ, როდესაც ინგლისის ვაჭრობა შემცირდება, მრეწველობა დაეცემა და ქარხანათა რიცხვი ერთი სამად ან ოთხად იკლებს? და რომ ახლო მომავალში ეს ასე უნდა მოხდეს, ზევით უკვე დავინახეთ. რით უნდა დაირჩინოს თავი ამ ხალხმა, როდესაც ქარხანა აღარ მისცემს საზრდოს?

და აი რაც უფრო მეტი დრო და ხანი გადის, მით უფრო ხშირათ გაისმის ინგლისში: დავაბრუნოთ ქალაქიდგან ხალხი ისევ სოფელშიო. სწორედ ეს მიგვაჩნია იმ ახალ მოვლენად, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. მაშინ როდესაც სხვაგან, და აქამდის ინგლისშიაც, საოცარის სისწრაფით ხალხი სოფელს თავს ანებებს და ქალაქში გარბის, ინგლისში თვით ცხოვრება თითქო საჭიროდ ჰყოფს ქალაქიდგან უკანვე სოფელში დაბრუნებას. ბევრს ეს აუცილებლად მიაჩნია და მხოლოდ იმის შესახებღა ლაპარაკობს, თუ რა გვარად უნდა მოხდეს ეს დაბრუნება.

ამ ჟამად ორ უმთავრესს საშუალებას ასახელებენ. ერთი ის არის, რომ სახელმწიფომ მოსპოს კერძო მესაკუთრეობა, შეისყიდოს ყველა ადგილები და დაურიგოს ქალაქის მუშებს, რომელნიც ამ რიგად ერთ სათემო ამხანაგობას ანუ სახელმწიფოს უნდა ემსახურნენ, ისე როგორც დღეს ფერმერს ან მემამულეს ემსახურებიან. მეორე კიდევ ის არის, რომ აიძულონ კერძო მესაკუთრენი თავიანთი მამული იაფ-ფასად და შეღავათით მიჰყიდონ მუშებს. ამ უკანასკნელის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია: ქარხნის მუშები ღარიბად სცხოვრობენ და სად შეუძლიანთ მამულის შესყიდვა!

როგორ გადასწყდება ეს საგანი, მომავალის საქმეა; მხოლოდ დასახელებული მოვლენა,—ქალაქიდგან ხალხის სოფელშივე დაბრუნება,—მეტად საყურადღებო და ღირს-შესანიშნავია.

ი. ა—ძე

ცია საჭირო, თუ სურს, რომ ფილიპინელები სრულებით დაიმორჩილოს. მისის სიტყვით, ვაშინგტონის მთავრობამ თუ დაუყოვნებლივ საშველი ჯარები არ გაგზავნა იქ, ცუდი დღე დაადგება; იქ მყოფი ამერიკის ჯარები ვერ გაუმაგრდებიან მტერს. წვიმების დროს ფილიპინების ჰავა აუტანელია ამერიკელებისათვის, ავადმყოფობა გაანახევრებს ჩვენს ჯარსო,—სთქვა გუშაჩენმა. ამას წინად ჩვენ მიერ დაჭერილი ადგილები, იძულებული ვიქნებით ისევ მტერს დავუტოვოთ, და მანილასაც ადრე გარს შემოერტყმიან მეამბოხენიო.

## სასამართლოს მატიანე

ანდერძის აღმასრულებლის მოვალეობის ჩამორთმევა.

17 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა კნეინა ქეთევან გიორგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებლის სიმონ სპირიდონის ძის ფერნამის საქმე. საქმის გარემოება შემდეგია: ფერნამმ, როგორც კნეინა ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებელმა, დაბეჭდა გაზ. „კასპში“ შემდეგის შინაარსის გაფრთხილება. კნ. ჯამბაკურ-ორბელიანის მემკვიდრეთ ჯერ კიდევ არ მოუპოვებათ უფლება ნაანდერძევ ქონების მფლობელობაში შევიდნენ, რომელს ქონებასაც, სხვათა შორის, ეკუთვნის ნავთის ადგილები ს. ბალახანაში, და მთელი ქონება ვალების გასტუმრებამდე და ბ-ნის ერკეს იჯარის ვადის გასვლამდე, მხოლოდ ჩემს განკარგულებაში უნდა დარჩესო. თავიანთის მხრივ მემკვიდრეებმა გამოაცხადეს „ტფ. ფურც.“-ის შემწეობით შემდეგი: ჩვენ უკვე მამულების მფლობელობაში შევედით, სხვათა შორის, ნავთის ადგილებისაც. ყველა ვალები გასტუმრებულია, ერკესთან დადებული საიჯარო ხელშეკრულება უკანონოა და უკვე საჩივარი მეიცტანეთ სისხლის სამართლის წესით ფერნამეზედ, რომელმაც ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინა და უკანონო პირობით შეკრა ერკესო.

ოლქის სასამართლომ, განიხილა-რა მემკვიდრეთა თხოვნა, რომ ფერნამე ანდერძის აღმასრულებლის თანამდებობისაგან გადაყენებულ იქმნასო, დაადგინა: სიმონ სპირიდონის ძე ფერნამე გადაყენებულ იქმნას კნ. ქეთევან გიორგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებლის თანამდებობისაგან, დაევალოს ფერნამეს, რომ განსვენებულ კნეინის მემკვიდრეთ: გენ.-ადიუტანტის ქვრივს კნ. ალექსანდრა მაკარის ასულს მელიქ-შვილისას, გენ.-ად. ქვრივს კნ. ბარბარე თარხან-მოურავისას, გენ.-მაიორს თავ. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანს, თავ. კონსტანტინე მაკარის ძეს, მაკარ და დიმიტრი ორბელიანს და მისის უდიდებულესობის უმაღლესის კარის სეფე ქალს სოფიო ივ. ჯამბაკურ-ორბელიანს მისცეს ყოველის თავისის მოქმედების ანგარიში და აგრეთვე ანგარიში კნ. ქეთ. ჯამბაკურ—ორბელიანის ქონებათა შემოსავალ-გასავლისა, რისთვისაც უნდა წარუდგინოს ხსენებულ მემკვიდრეთ ნამდვილი თავის გასამართლებელი საბუთის ქაღალდები და ერეისაგან მიღებული ანგარიშები იმ ქაღალდებით.

## დამავიწყდა

ურწმუნო და დაუდგრომელი ბატივეკაცთა პირველ ტკბილად გამოჩნდების და უკანასკნელ უმწარეს ნაღვლისა იქმნების.

დარიოზ (IV ს. ქრ. წ.)

* * *

ჩავლა სჯობს საქმისა გარდასულისა.

როსტომიანი

* * *

მკურნალი კელოვანი და სახიერი პირველად წამალთა მიერ ლბილთა ისწრაფის განკურნებად წყლულებისა, ხოლო რაჟამს იხილის, ვითარმედ ვერარას არგებს, არამედ უფროჲსად გამძნელდების წყლული იგი, მაშინ დაუტევის ლბილი იგი წამალი და კელყვის მოკუეთად მისსა მახვილითა.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ოსმალელს ახალგაზდა ცოლი ფეხმძიმეთ ჰყოლია. უკანასკნელ ჟამს, როდესაც ქალი ლოგინად დაწოლილა, ქმარს თავისი სიდედრი დაუბარებია, მაგრამ თურმე სიდედრიც ფეხ-მძიმეთ ყოფილა და მგზავრობის შემდეგ, სიძესთან მოსვლისათანავე, ისიც ლოგინად დაწოლილა. რაღაც წერის წყალობით დედასა და ქალს ერთს დროს გადაუხდიათ მშობიარობა და ამასთან ორივეს ბიჭები გასჩენიათ. რადგანაც მელოგინენი ერთ ოთახში იწვნენ, ალიაქოთის დროს ბავშვები ერთმანეთში გადაურევიათ და მერე ველარაფრით გამოურკვევიათ, რომელი რომელისა იყო. საუბედუროთ ერთი ბავშვი ლამაზი ყოფილა, მეორეს-კი რაღაც ფიზიკური ნაკლულევანება ჰქონია, რომელიც პირველ ხანს ვერ შეუმჩნევიათ. ამ გარემოებას დედასა და ქალს შორის ლაპარაკი გამოუწვევია, არც ერთს არ უნდოდა მეორე ბავშვის აყვანა. ბოლოს საქმეს სასამართლომდე მიუღწევია. ბრძენ ყადის, მოუსმენია-რა მოპასუხეთა აზრი, საქმე ასე გადაუწყვეტია: ლამაზი ბავშვი ახალგაზდა ქალისათვის მიუცია, რათა პირველ დებიუტისათახავე გული არ აუცრუვდესო, ხოლო ძახინჯი ბავშვი—მოხუცებულისათვის. შემდეგ ჰკვიან მოსამართლეს მიუმართავს დედისათვის და უთქვამს: შენ რამდენჯერმე გყოლია ლამაზი და მრთელი ბავშვი, ეგ სიამოვნება უკვე გამოგიცდია, მაგან-კი პირველად უნდა გამოსცადოს, ამიტომ დიდი უსამართლობა იქმნება ეხლავე მოვაკლოთ მაგ სიამოვნებას და დავაღონოთო.

* * *

მეტად საკვირველი, თითქმის ზღაპრული თვისება ჰქონია ბარონ კრისტიანის ჯოხს, რომელიც ბარონმა ამას წინად საფრანგეთის პრეზიდენტს ლუბეს ცილინდრში დაარტყა. ამ ჯოხის წყალობით ცილინდრი ძვირფასი რამ გამხდარა. აი თუ არა გჯერათ. რა წამსაც ოტეილში მომხდარ ამბავს ამერიკამდე მიუღწევია, იმ წამსვე ერთ ამერიკელ მილიონერს გადაუწყვეტია, რათაც უნდა დაუჯდეს, ლუბეს ცილინდრის შეძენა. ატაცებულ მილიონერს უკვე შეუძლევია ხსენებულ ცილინდრში $5\frac{1}{2}$ ათასი მანეთი, მაგრამ, იმისდა საუბედუროდ, საფრანგეთის პრეზიდენტს არამც თუ არ გაუმეტებია ძვირფასი ცილინდრი, არამედ პასუხის ღირსიც არ გაუხდია.

* * *

მომავალ პარიჟის გამოფენისათვის ამერიკელები აძზადებენ ერთ ქანდაკებას, რომელიც წმინდა ოქროსაგან იქმნება გაკეთებული. ქანდაკებამ უნდა წარმოადგინოს ცხობილი ამერიკელი არტისტი ქალი ადამსი. ამერიკელებს აზრადა აქვთ თავიანთ განთქმულ არტისტს ამ რიგად სცენ პატივი; მაგრამ საჭიროა ისიც მოვიხსენიოთ, რომ ქანდაკებას დიდი დღე არ უწერია: გამოფენის შემდეგ იგი ფულად იქმნება გადაკეთებული. ამერიკელები პრაქტიკული ხალხია, თუმცა მოწადინებულნი არიან პატივი სცენ თავიანთ არტისტს, მაგრამ არც ამოდენა ოქროს ტყუილად დაღუპვა უნდათ.

* * *

როგორც ერთი ამერიკული გაზეთი იუწყება, ამერიკაში შემდეგი ახალი სატელეგრაფო ამხანაგობაა: ამხანაგობას აზრადა აქვს ტელეგრაფის მავთულებით შეაერთოს ამერიკის თითქმის ყველა კუთხე, ქალაქი, დაბა და სოფელი. ამასთან ტელეგრაფი ახალის სისტემისა იქმნება. ამ ტელეგრაფით წუთში 400 სიტყვის გაგზავნა შეიძლება. უკვე გამოსცადეს და საუკეთესო გამოდგა. ძირის თანხად ამხანაგობას 10,000,000 მანეთი ექმნება.

## გამოსადეგი ცნობა

ბაღლინჯოების წამალი. აი ბაღლინჯოების ამოსაწყვეტად რა წამალი შეიძლება იხმაროთ: აიღეთ ექვსი თავი წითელი წიწაკა და წმინდად დაფხვენით, შემდეგ შიშაში ჩაჰყარეთ და მაგარი არაყი დაასხით. თავი მაგრად მოუკარით და 10 დღეს თბილს ადგილას შეინახეთ, მხოლოდ საჭიროა დღეში სამჯერ მაგრად შეანჯღრიოთ ხოლმე. როდესაც არაყი სრულიად გაწითლდება, ფთით უნდა წაუსვათ კარგად იმ ადგილებზედ, სადაც ბაღლინჯოები ჭყუდობენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა: ნება დაერთოთ მთა-მადნის მწარმოებელთა კრების საბჭოს შეიძინოს საკუთრებად უძრავი ქონება; აირჩიონ ბანკებმა გაზეთები დაგირავებულ საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გამოსაცხადებლად.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ სულთანმა ინახულა რუსეთის ელჩი ზინოვიევი.

**პეკინი.** აქ მოვიდა დღეს ახლად დანიშნული ელჩი გერმანიისა კესტლერი.

**ბრიუსელი.** რამდენმამე ათასმა კაცმა საღამოს მანიფესტაცია მოახდინა „დიდს მოედანზედ“ და ჟანდარმებს ქვების სროლა დაუწყეს. ჟანდარმერია იძულებული შეიქმნა ეხმარა ხმლები, შემდეგ ორსავე მხარეზედ ასტყდა სროლა. ჟანდარმერიის მიერ გაფანტული ხალხი ხელმეორედ შეიკრიბა ზოგიერთ ქუჩებზედ, ამოთხარეს ქუჩა და ცეცხლი წაუკიდეს გაზის მილებს. ათი კაცი დაიჭრა, 25 შეპყრობილ იქმნა.

**ლონდონი.** პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ბრიტანიის რწმუნებულმა გადასცა ოთხშაბათს მარკიზ სალისბიურის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ჩრდილოეთის რკინის გზის მთავარ-ინჟინერის კინლერის დათხოვნას დიდი ბრიტანია ისე შეჰხედავს, როგორც სამძიმო საქმეს. ამის გამო კინლერის დათხოვნის საქმე გადადებულ იქმნა შემდეგის დროისათვის. ცუნგ-ლი-იამენმა უფლება მისცა პეკინის სინდიკატს, გაიყვანოს რკინის გზები შეპსსა, ხონანსა და იან-ცე-კიანგის ხეობაში.

**ვენა.** მთელ იმპერიის ბიუჯეტს, $3\frac{1}{2}$ მილიონის გარდა, რომელიც ჩვეულებრივ ემატება, „Neue Freie Presse“-ს სიტყვით, სახლეთ ბიუჯეტი მომეტება გემების შესაძენად და ფლოტის გაძლიერების შესახებ პროგრამის თან-და-თან განსახორციელებლად.

**პარიჟი.** პალატა. მილვუა ნებართვას თხოულობს შეეკითხოს მთავრობას, როგორ სურს მილიერანს განახორციელოს სოციალისტური მოძღვრებავო. მილიერანის თხოვნით, პალატამ, 357 ხმით 165-ის წინააღმდეგ, ამ საქნის განხილვა ერთის თვით გადასდვა.

19 ივნისი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი დედოფალ იმპერატრიცის ჯანმრთელობისა: ცვლილება არაფერი მომხდარა. ახლად დაბადებული კარგად არის.

**პარიჟი.** პალატამ, 319 ხმის უმეტესობით 174 ხმის წინააღმდეგ, შეიწყნარა წინადადება ვივიანისა, იმის შესახებ, რომ იმ ქალებს, რომელთაც ბაკალავრის დიპლომი აქვთ მიღებული, ნება დაერთოთ ვექილობა გასწიონ ხოლმე.

**რენი.** ხმა დადის, რომ საიდუმლო პოლიციის დირექტორი ვიგიე ლორიანში წაკიდა დრეიფუსის მისაღებად.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატა. სოციალისტებმა, სასტიკად გაჰკიცხეს რა სამინისტრო და მემარჯვენენი, წინააღმდეგობა განაცხადეს იმ წინადადების შესახებ, რომელიც შეეხება პალატის წესდების შეცვლას იმ აზრით, რომ დეპუტატებს, რომელნიც წესდების წეს-რიგს დაარღვევენ, განდევნილ იქმნან. ამასთან სოციალისტებმა მოიხსენიეს ის ქუჩებში მომხდარი არეულობა, რომლის დროსაც სისხლი იქმნა დაღვრილი და მინისტრ-პრეზიდენტს „მკვლელი“ უწოდეს. ფურნემონმა და დენისმა მოითხოვეს, რომ პროექტი ამომრჩეველთა კანონის შესახებ უკანვე იქმნას წაღებული. დასასრულ მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა გულით არის მოწადინებული მორიგებასა და ყოველ ღონესა ხმარობს ამისათვის: პრეზიდენტის სიტყვას ტაშის ცემით მიეგებნენ.

## პეტერბურგის ბირჟა, 18 ივნისი

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გარიგებულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% ... მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 209 | |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $94\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — | „ | 101 | | | |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | | — | „ | | |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | $99\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — | „ | 100 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99\frac{1}{4}$ | | — | „ | — | „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | 98 | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | $288\frac{3}{4}$ | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | $253\frac{1}{2}$ | |

## წერილი რედაქციის მიმართ.

გულითადს მადლობას ვუძღვნი ს. ართანაში მცხოვრებთ თ-დ ყარალაშვილებს, რომელთაც დიდი შემწეობა აღმოუჩინეს როგორც საქმით, ისე სიტყვით აქაურ ეკკლესიის გამშვენებას და იმისათვის ახალის საუკეთესო ზარის შეძენის საქმეს.

სოფ. ართანის სამრევლოს მღ. იოანე შოშიაშვილი

ამა წლის თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის ბ-ნ თხელიძის თაოსნობით იკრიბებოდა ფული ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შორის, აწ გარდაცვალებულის ფოსტა-ტელეგრაფისავე მოხელის რომან მუსხელაშვილის საფლავზედ მატურის დასადგმელად. მაგრამ რადგან აქამომდე არა ვიცით-რა ამ ფულის შესახებ, უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ნს თხელიძეს შეგვატყობინოს გაზეთისავე საშუალებით: 1) შემოწირულის ფულის რაოდენობა და 2) მოხმარებულ იქმნა თუ არა შეკრებილი ფული დანიშნულებისამებრ?

ალექსანდრე წინამძღვარიშვილი და ნიკოლოზ ყულიჯანოვი.

დ. ცხინვალი.


# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მხოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავჭალის ბირჟაზე.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანველაძეს, ტფილისი. (24—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Іюня 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე